ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3436406

ნომერი: AR1528078

თარიღი : 27.07.2017

გაცემის თარიღი : 03.08.2017

გაცნობის თარიღი : 03.08.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიქოვანი , N 16ა / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიქოვანი , N 16ა-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიქოვანი , N16 -ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიქოვანი , N16ა -ს მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ ცერცვაძე პ/ნ 01008007125
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 37 ბ. 1

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 27 ივლისს AR1528078 განცხადებით სამსახურს მომართა მალხაზ ცერცვაძემ, მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 06 თებერვლის №38602 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ მიწის ნაკვეთის შეცვლილი საკადასტრო მონაცემების დასაფიქსირებლად. პასუხად გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილსის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 15 აპრილის N833 ბრძანებით მინიჭებულია მომატებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კ–2=3.5, აღნიშნულ აქტში ცვლილების განსახორციელებლად საჭიროა ხსენებულ ბრძანებაშიც ცვლილების განხორციელება ახალი საკადასტრო მონაცემების დასაფიქსირებლად. აღნიშნული ცვლილება საჭიროებს საკითხის განხილვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომაზე შესაბამისი სრულყოფილი ქალაქგეგმარებითი დასაბუთების საფუძველზე, შესაბამისი განმარტებითი ბარათით. ამასთან, ვინაიდან 2012 წლის 06 თებერვლის №38602 გადაწყვეტილება დამტკიცებულია განმცხადებლის ლია ხანათაძის განაცხადის საფუძველზე, დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს ან აღნიშნული აქტის განმცხადებლის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრის/ების შესაბამისი ფორმით დამოწმებული მინდობილობა ან თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ; ასევე შესაძლებელია აღნიშნული პირები დააფიქსირდნენ თანაგანმცხადებლად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 27 ივლისს AR1528078 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.